

ქართული სიმღერის პერტიკალი და ჩონგურის წყობები (გურიის 2004 წლის საექსპედიციო მასალის მიხედვით)

ქართული მუსიკალური ყოფის მთავარი წარმმართველი ყოველთვის იყო და არის ქართული სიმღერა და მისთვის დამახასიათებელი ეროვნული მუსიკალური თვითმყოფადობისა და იერსახის ყველაზე ნიშანდობლივი თვისება – მრავალხმიანობა.

ტრადიციულ მუსიკალურ გარემოში აღმოცენებული ეროვნული ნიშან-თვისებების მყარი სისტემის მქონე ქართული ინსტრუმენტარიუმი (მხედველობაში გვაქვს საკრავის დამზადების წესი, წარმოშობის შესახებ არსებული თქმულება-ლეგენდები, ფუნქცია-დანიშნულება და მუსიკალური შინაარსი) ფეხდა-ფეხ მიყვება ქართულ სიმღერას და მისით საზრდოობს.

ქართული საკრავისათვის სიმღერა არის ის ლაბორატორია, რომელიც გამოიმუშავებს მუსიკალური ენის მახასიათებლებს: კილო-ინტონაციურ, მეტრულ-რიტმულ და ჰარმონიულ ფორმულებს, აკორდიკას და სხვა. ქართულ საკრავიერ მუსიკაში ჩვენ ვერ შევხვდებით რაიმე ისეთ მოვლენას, რასაც ადგილი არა აქვს ქართულ სასიმღერო შემოქმედებაში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მდიდარი შესაძლებლობების საკრავიც კი უძლურია ასახოს ის რთული ფორმები, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ მაღალგანვითარებულ პოლიფონიურ სასიმღერო ნიმუშებში. მხედველობაში გვაქვს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს სასიმღერო ნიმუშები (ყვანია, 2000:261).

ქართულმა ხალხურმა ინსტრუმენტარიუმმა ერთდროულად შემოინახა საკრავთა მარტივი და რთული კონსტრუქციული ფორმები, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართული მუსიკალური ენის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებლის მრავალხმიანობის განვითარების ფორმებს.

ქართული სიმებიანი საკრავის მრავალხმიანობაზე, პირველ რიგში, მისი მუსიკალური შინაარსის წარმომქმნელი კონსტრუქციული მახასიათებლები: ვერტიკალში ხმათა რაოდენობის შესატყვისი სიმების რაოდენობა და გარკვეული შესაძლებლობების მქონე მუსიკალური ენის ამსახველი წყობები მეტყველებს (არფისებური ჩანგის გარდა).

უნდა ითქვას, რომ დასაკრავთა მუსიკალური ენის პრიორიტეტულ მახასიათებლად ჰარმონიული ელემენტი წარმოგვიდგება. ამ თვალსაზრისით, ქართული სიმებიანი საკრავის განვითარების პირველი საფეხურია ორხმიანი ორსიმებიანი ჩამოსაკრავი ფანდურისა და ხემიანი ჭიანურის კონსტრუქციები, შემდეგი საფეხურია სამხმიანი სამსიმებიანი ფანდური და ჭიანური, ასევე სამხმიანი 5-6 სიმებიანი არფისებური ჩანგი. ქართული ინსტრუმენტარიუმის სიმებიანთა ჯგუფის ყველაზე მაღალგანვითარებული საკრავია ოთხსიმებიანი ჩამოსაკრავი ჩონგური, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, ბარის კუთხეებშია გავრცელებული.

თუ წარმოვიდგენთ ჩონგურის ძირითადი გავრცელების არეთა (დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონები: გურია, სამეგრელო, იმერეთი, აჭარა) სასიმღერო შემოქმედებას, ნათელი გახდება განსაკუთრებული ჰარმონიული მიდრეკილებების მქონე საკრავის სწორედ ამგვარი – ოთხსიმებიანი, ფარდების დანა-

ყოფების გარეშე, მთლიანად სმენით კორექტივზე დაფუძნებული კონსტრუქციით არსებობის აუცილებლობა.

იმდენად, რამდენადაც ჩონგურ-კონსტრუქციას ძალა შესწევს მაქსიმალურად ასახოს დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფონდი თავისი ჰარმონიულ-მელოდიური შინაარსით, საჩონგურო თანხლებიანი სიმღერების შესაძლო ვარიანტებიც საკმაოდ ფართოა. ჩონგური მეტწილად სამხმთან მღერას ახლავს თან. საკრავიერი და ვოკალური მრავალხმიანი პლასტიკების ამგვარი თანაარსებობა, ამ ორი პლასტიკის გარკვეული ურთიერთზემოქმედების პირობასაც ქმნის: ერთი მხრივ, საკრავზე სასიმღერო ვარიანტის ზედმიწევნით გადატანის გამო მისი „ამღერების“, მეორე მხრივ, ვოკალური პლასტიკის მუსიკალურ ენაზე საკრავიერი სამეცხველო ენისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ჰარმონიული შტრიხის ზემოქმედებისა.

როგორც ცნობილია, წარსულში ჩონგურზე არაერთი წყობა იყო (არაყიშვილი, 1925; არაყიშვილი, 1940; ახოზაძე, 1961; შილაკაძე, 1970) საჩონგურო რეპერტუარსა და მასში გამოყენებულ წყობებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართული სიმღერის ვერტიკალური ბუნების საკრავში განვითარების პროცესს. ჩვენი დაკვირვების საგანია 2004 წლის გაზაფხულზე გური-ში, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ექსპედიციის დროს გურული მუსიკალური ტრადიციების საუკეთესო მცოდნისაგან კარლო ურუშაძისაგან ჩანერილი ჩონგურის წყობები შესაბამისი ნიმუშებით.

ბ-ნი კარლოს მიერ დასახელებული და დახასიათებული იქნა ის საჩონგურო სიმღერები, რომლებიც გურული სასიმღერო შემოქმედების ორგანულ ნაწილს შეადგენენ. საჩონგურო სიმღერების ჩამონათვალი თავისი შესაბამისი წყობების დასახელებით გვიჩვენებს, რომ გურულ საჩონგურო სიმღერებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიკუთვნებულობის პრინციპი, რაც კონკრეტულ საჩონგურო სიმღერასა და გარკვეულ წყობას შორის იმგვარ კავშირს გულისხმობს, რომლის დროსაც ერთი საჩონგურო სიმღერა აუცილებლად ერთ რომელიმე წყობაში იკვრება. მაგალითი იმისა, რომ ერთი და იგივე სიმღერა შეიძლება დაიკრას სხვადასხვა წყობაში, ჩვენ არ მოგვეპოვება. რადგანაც საჩონგურო სიმღერის მსგავსი ინტერპრეტაცია (მხედველობაში გვაქვს წყობებისადმი ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულება) იწვევს სიმღერის ისეთ სახეცვლილებას, რასაც ფაქტობრივად ახალი სიმღერის დაბადება ჰქვია.

საბოლოო ჯამში 29 სიმღერიდან 13 სიმღერა არის I წყობაში, 13 – II წყობაში, სულ ორი სიმღერაა III წყობაში და მხოლოდ ერთადერთი – IV წყობაში.

უნდა ითქვას, რომ ჩონგურის წყობების შედეგად მიღებული აკორდული ვერტიკალები (მხედველობაში გვაქვს ღია სიმებზე ჩამოკვრის შედეგად წარმოქმნილი ვერტიკალები) იმთავითვე იძლევიან გარკვეულ ინფორმაციას სხვადასხვა წყობების მუსიკალური შინაარსის შესაძლო სხვაობებზე: I წყობა – f-a-c¹-f¹; II წყობა – f-a-c¹-e¹; III წყობა – f-g-c¹-g¹; IV წყობა – d-a-c¹-a¹ (მაგ. 1)

საჩონგურო სიმღერების ანალიზი ცხადყოფს, რომ თითოეულ წყობას თავისი ვერტიკალური მახასიათებლები გააჩნია. ასეთ მახასიათებლებად I წყობაში იკვეთება: ა) სამხმიანი ვერტიკალის ვიწრო განლაგება (ძირითადად სამხმოვანება: g-h-d¹; და კვარტსექსტაკორდი: g-c¹-e¹), ბ) სასიმღერო ვარიანტთან მიმართებაში ზედა ხმების ტრანსკრიპციის შემცველი ორხმიანი ვერტიკალი, სადაც ბანის მელოდიური ხაზი ერთგვარ „პასივში“ იმყოფება და ერთადერთი ბგერითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ბანის მოძრაობა კეთდება

მხოლოდ ვოკალურ პარტიაში. ჩონგურის თანხლებიან სასიმღერო ნიმუშში მრავალხმიანი ქსოვილი იქმნება არა იმდენად ხმების დუბლირებით, რამდენადაც ვოკალური და საკრავიერი პლასტების ხმათა შეწყობით (მაგ. 2).

I და II წყობას შორის მსგავსებაზე თვით ღია სიმებზე ჩამოკვრის შედეგად მიღებული აკორდული ვერტიკალებიც მეტყველებს. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთ ბგერაშია. I წყობიდან მეორეზე გადაწყობისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი სიმის, კერძოდ ზემოდან მესამე, ე. წ. „ზილის“ მოშვება და ერთი საფეხურით დადაბლება. ამგვარი კონსტრუქციული მსგავსება განაპირობებს მოცემული წყობების ვერტიკალური მახასიათებლების მსგავსებასაც.

II წყობის ვერტიკალური მახასიათებლები ასე გამოიყურება: ა) I წყობის მსგავსად, ვიწრო განლაგების მქონე სამხმიანი ვერტიკალი (ძირითადად სამხმოვანებისა და კვარტსექსტაკორდის სახით), ბ) I წყობისაგან განსხვავებული ორხმიანი ვერტიკალი, რომელიც სიმღერის ზედა ხმისა და ბანის ტრანსკიპციას წარმოადგენს. ბანის პარტია აღარ იმყოფება „პასივში“, იგი დუბლირებას უკეთებს სიმღერის ბანს (მაგ.3).

III წყობის ღია სიმებზე ჩამოკვრის შედეგად მიღებული აკორდული ვერტიკალი I-II წყობებისაგან განსხვავებული ჰარმონიული „დაძაბულობის“ მატარებელია, რასაც, პირველ რიგში, მისი არატერციული, სეკუნდური ინტერვალის შემცველი აგებულება განაპირობებს. შესაბამისად, ამ წყობის ვერტიკალური მახასიათებლები ასე გამოიყურება: ა) შერეული განლაგების 3-4 ხმიანი ვერტიკალი (g-c'-d'-g'; g-c'-e'-g'; g-c'-g'; f-b-f'), ბ) ფაქტურა, რომელშიდაც ჭარბობს სიმღერის ჰარმონიული ენის ტრანსკრიპციის შემცველი აკორდული და არა ინტერვალური თანმიმდევრობა (მაგ.4).

IV წყობის ღია სიმებზე ჩამოკვრის შედეგად მიღებული აკორდული ვერტიკალი, თავისი უფართოესი განლაგებით, უფრო ახლოსაა III წყობასთან, ვიდრე I-II წყობებთან. თუ ყურადღებას მივაქცევთ აკორდული ვერტიკალების დიაპაზონს, რომელიც იზომება ზემოდან პირველ სიმსა და „ზილს“ შორის მანძილით (I წყობის დიაპაზონია 8, II წყობის დიაპაზონია 7, III წყობის დიაპაზონია 9, IV წყობის დიაპაზონია 12), ცხადი გახდება IV წყობის ვერტიკალური განლაგების განსაკუთრებული სიფართოვე.

IV წყობაში ჩანერილი სასიმღერო ნიმუშის „ნატვრის“ ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთელი სიმღერის მანძილზე შენარჩუნებულია ფართო განლაგება. უნდა ითქვას, რომ სიმღერა, რომელიც ერთადერთია ამ წყობაში, მართლაც განსაკუთრებული ჟღერადობით გამოირჩევა. მისი მუსიკალური ენის უმთავრესი მახასიათებელი არის ჰარმონიული ელემენტი, რაც სწორედ ფართო განლაგების აკორდულ ვერტიკალებში ვლინდება (d-a-e¹-a¹; d-a-fis¹-a¹; d-a-g¹-a¹;d-a-a¹). (მაგ.5).

უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. ვინაიდან, ჩონგურზე IV წყობის წარმოქმნა და შენარჩუნება რთულია, ბატონ კარლოს ცალკე აქვს მომართული ჩონგური, რომელსაც მხოლოდ ამ წყობისთვის იყენებს. მას „ბაბუას ჩონგურს“ ეძახის, რადგანაც ამ სიმღერის, შესაბამისად, წყობის ავტორიც, იყო მისი დედის მამა, გურიაში ცნობილი მომღერალი გიორგი იობიშვილი.

ფრიად საგულისხმო ცნობას გვანვდის ბ-ნი კარლო იმის შესახებ, რომ გურიაში ძალიან პოპულარული სიმღერის „ბალია ჩემი ქვეყანას“ გამოთქმისას ავტორისათვის, ვარლამ სიმონიშვილისათვის მთავარი შთაგონების წყარო სწორედ სიმღერა „ნატვრა“ ყოფილა. ამ სიმღერების ერთმანეთთან შედარება გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. მართალია, ისინი მელო-

დიური ნახაზით ერთმანეთს გვანან, მთლიანობაში, იმის გამო, რომ „ბაღია ჩემი ქვეყანა“ პირველ წყობაშია, სიმღერა თავისი მრავალხმიანი ქსოვილით ძალიან განსხვავებულ სურათს ქმნის (მაგ.6).

მივიღეთ არა ინვარიანტი უკვე არსებული სიმღერისა, არამედ სრულიად ახალი სასიმღერო ნიმუში. ვფიქრობთ, რომ ეს არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ აისახება ჩონგურის წყობებში გურული კაცის მოთხოვნილება, გამოთქვას სიმღერა გარკვეული ჰარმონიული ენით.

დამონმებული ლიტერატურა

არაყიშვილი, დიმიტრი (1925). *ქართული მუსიკა*. ქუთაისი: ადგილობრივი მეურნეობის სტამბა.

არაყიშვილი, დიმიტრი (1940). *ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა*. თბილისი: ტექნიკა და შრომა.

ახობაძე, ვლადიმერ (1961). *ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები*. ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.

ჟვანია, თინათინ (2001). *ქართული საკრავი და მრავალხმიანობა (ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ურთიერთობა)*. კრებულში: ნურნუშია, რუსუდან (პ/მ). *სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები*. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებები. გვ. 260-270. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (ინგლისური რეზიუმეტი)

შილაკაძე, მანანა (1970). *ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა*. თბილისი: მეცნიერება. (რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე)

მაგალითი 1.
EXAMPLE 1.

ტრაპეზი
მენაპე
მენაპე
ტრაპეზი

მაგალითი 2.
EXAMPLE 2.

დი-ლა ა-რის ცა-ლა კვარ-დი და მზი-სა სხი-ვით ი-უე-რე-ბა და
di - la a - ris tsa - la - gzvar - di da mzi - sa skhi - vit i - pe - re - ba da

ჩონგური
Chonguri

და ქურ-დუ-ლად მი-მა-ლუ-ლა თვით მთვა-რე და ვარ-სკვლავთ კრე-ბა და
da kur - du - lad mi - ma - lu - la tvit mtva - re da var - skvlavt kre - ba da

მაგალითი 3.

EXAMPLE 3.

ჩონგური
Chonguri

ჩონ-გურს სი-შე-ბი გა-უ-ბი მო-მარ-თე ნე-ლა ნე-ლა-ო
Chon-gurs si-me-bi ga-u-bi mo-mar-te ne-la ne-la-o

შე-უ-ხმა-ტკბი-ლე ერ-თმა-ნეტს ო-დე-ლა დე-ლა დე-ლა-ო და
she-u-khma-tkbi-le er-tma-nets o-de-la de-la de-la-o da

მაგალითი 4.

EXAMPLE 4.

ჩონგური
Chonguri

დე-ლი-ავ რა-ნი-ნი
de-li-av ra-ni-ni

ქო-ჩო-რა-ი და-მე-კარ-გა
Ko-cho-ra-i da-me-kar-ga

ნა-ო უ-კე-თე-სი ქა-თმის ბრა-ლი დე-ლი-ავ რა-ნი-ნი ნა-ო
na-o u-ke-te-si ka-tmis bra-li de-li-av ra-ni-ni na-o

მაგალითი 5.
EXAMPLE 5.

ჩონგური
Chonguri

ო - - - - - ო - ო - ო - ო - და დი - ლა ვო - დი - ლო,
o - - - - - o - o - i - da di - la vo - di - lo,

1.ა - - - რა - ლა - ლი ვო,
2.და - - - რა - ლა - ლი ვო.
1.a - - - ra - la - li vo,
2.da - - - ra - la - li vo.

დი - ლა ვო - დე - ლა, დი - ლა ვო - დე - ლა და ნა - ნა და
di - la vo - de - la, di - la vo - de - lav da na - na da

მავალითი 6.
 EXAMPLE 6.

ბა - ღი - ა ჩვე - ნი ქვე - ყა - ნა, მი - ვალ და მი - გვი - ხა - რი - ა,
 ba - ghi - a chve - ni kve - qa - na, mi - val da mi - gvi - kha - ri - a,

ვინც უვ - ღის ბაღ - ში ყვა - ვი - ლებს, ის ჩვე - ნი მე - გობა - რი - ა. დი - ლა, ვადი - ლავ და,
 vints uv - lis bagh - shi qva - vi - lebs, is chve - ni me - go - ba - ri - a. di - la, va - di - lav da,

ა - ბადე - ლო და, ვო - რი - რა - ი - ვო, დი - ლა, ვო - დი - ლავ და დე - ლო და.
 a - ba - de - lo da, vo - ri - ra - i - vo, di - la, vo - di - lav da de - lo da.